დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო მინდიაშვილი, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

თამარ ძველაია, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ნინო ალავიძე, შპს ალტე უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი - 2025 წლის 17 ნოემბერი

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	203851028
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	რუსთაველის გამზირი N19, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, 0108, საქართველო
ვებ-გვერდი	www.tafu.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	26/09/2024 MES 8 24 0001217510
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	2030 წლის 12 სექტემბერი

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	**35**
ბაკალავრიატი	14
მაგისტრატურა	12
ერთსაფეხურიანი	–
დოქტორანტურა	8
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	–
ქართულ ენაში მომზადების	1
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	35
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	–
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	–
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	–

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3[48] პუნქტში

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	682	43	93
ბაკალავრიატი	587	41	75
მაგისტრატურა	41	1	15
ერთსაფეხურიანი	–	–	–
დოქტორანტურა	43	1	3
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	–	–	–
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	11	–	6
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	7	–	–
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	–	–	–

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	**89**
– პროფესორი	14
– ასოცირებული პროფესორი	33
– ასისტენტ პროფესორი	25
– ასისტენტი	17
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	**15**
– მეცნიერი	15
– პოსტდოქტორანტი	–
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	**89**
– აფილირებული პროფესორი	14
– აფილირებული ასოცირებული პროფესორი	33
– აფილირებული ასისტენტ პროფესორი	25
– აფილირებული ასისტენტი	17
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	–

კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	–
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	**122** (უფრ. მასწ. და მასწ. 30, საათობრივად მოწვ. 92)
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	**146**

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	რუსთაველის N19 – 7300 კვმ აღმაშენებლის N40 - 5047.7კვმ, სულ- 12347.70 კვმ
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	5196.00 კვმ
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	7151.70 კვმ

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

ექსპერტთა ჯგუფში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა და გადანაწილდა სამუშაო ფუნქციები, ცენტრის წარმომადგენელმა უზრუნველყო ჯგუფის შეუფერხებლად მუშაობა, ექსპერტებს აწვდიდა აუცილებელ მასალას, დაეხმარა უნივერსიტეტიდან დამატებითი მასალის გამოთხოვაში და ტექნიკურად გამართა პროცესი.

ექსპერტთა სამუშაო ჯგუფს შეხვედრის გარდა კომუნიკაცია ჰქონდა ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ათანხმებდა და განიხილავდა გარკვეულ საკითხებს.

საბოლოო დასკვნა შეთანხმებულია ჯგუფის წევრებთან.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

[redacted] ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: 2024 წლის 11, 12, 13 და 14 ივნისი

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება

<table>
<tr><td colspan="2">შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: ___28.10.2025</td></tr>
<tr><td>უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):</td><td>აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:</td></tr>
<tr><td>კომპონენტი 1.2

1. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გადახედოს 2024 - 2030 წლების სტრატეგიულ გეგმას, იმისათვის, რომ დეტალურად განსაზღვროს კონკრეტული მიზნები და ქმედებები, კოორდინატორები და გაზომვადი ძირითადი შესრულების ინდიკატორები (KIP) (შუალედური და საბოლოო), შესრულების ვადები და რესურსების განაწილება;
2. რეკომენდებულია, დაწესებულებამ დააზუსტოს, ფორმალური გახადოს და თანმიმდევრულად განახორციელოს ანგარიშგების მეთოდოლოგია, რაც მას მისცემ შესაძლებლობას თვალყური ადევნოს სტრატეგიული დაგეგმვის პროგრესს;
3. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს თანმიმდევრული და ინტეგრირებული ურთიერთქმედება / კავშირი სტრატეგიულ და ოპერაციულ მართვას და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას შორის, სადაც ეს უკანასკნელი ხელს უწყობს პირველის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას;</td><td>რეკომენდაციები შესრულებულია.</td></tr>
</table>

კომპონენტი 2.1 **4. რეკომენდებულია, დაწესებულებამ 3 წლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული აქტივობისათვის გამოყოს შესაბამისი ფინანსური რესურსები;** **5. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ძირითადი ასპექტების და აქტივობების გაზიარება და ინფორმაციის შესაბამის დონეზე გავრცელება ადმინისტრაციულ პერსონალს, წევრებს, ლექტორებს, სტუდენტებს, დამსაქმებლებს და კურსდამთავრებულებს შორის;** 6. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები გახდეს ყოვლისმომცველი; 7. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის შეფასების პროცედურები და განსაზღვროს შეფასების პროცედურებზე პასუხისმგებელი პერსონალის ფუნქციები; 8. რეკომენდებულია, მმართველი ორგანოების კანდიდატებმა არჩევნებამდე წარმოადგინონ თავიანთი ხედვა და გეგმები; 9. რეკომენდებულია, დაწესებულებამ პრაქტიკის შესაბამისად განახორციელოს ცვლილება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სამუშაო აღწერილობაში; 10. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს QMS მონაცემთა ბაზის გამართული ფუნქციონირება; 11. რეკომენდებულია, დაწესებულების ბიზნეს უწყვეტობის გეგმაში გათვალისწინებული იყოს პანდემიური სიტუაციების და სოციალურ - პოლიტიკური დაძაბულობის შესაძლო რისკები, მათი წარმოშობის შემთხვევაში; 12. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ბიზნეს უწყვეტობის გეგმაში განსაზღვროს კრიზისულ სიტუაციაში, მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფის	არ არის შესრულებული მე-4, მე-5 და მე-13 რეკომენდაცია, დანარჩენი ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

მიზნით სათანადო პერსონალი და ქმედებები; **კომპონენტი 2.2** **13. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის კვლევის განხორციელების მიზნით დაასაქმოს ან დანიშნოს შესაბამისი პერსონალი.** 14. რეკომენდებულია, დაწესებულებამ განსაზღვროს საზოგადოების განვითარების და ცოდნის გავრცელების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შეფასების პრინციპები. 15. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის ყოვლისმომცველი მექანიზმები. 16. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის კვლევის პოლიტიკა და პროცედურები. 17. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შინაგანაწესთან შესაბამისობის მიზნით გაზარდოს დამხმარე სივრცე. 18. რეკომენდებულია, დაწესებულებამ განახორციელოს ცვლილება „სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესში“ ისე, რომ მასში განისაზღვროს პროგრამის სპეციფიკური სამიზნე ნიშნულები. **კომპონენტი 2.3** 19. რეკომენდებულია, დაწესებულებამ განაახლოს ან შეიმუშაოს ახალი ხელშეკრულება პლაგიატის გამოვლენის იმავე ან სხვა პროგრამული უზრუნველყოფის მომწოდებელთან; 20. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე განათავსოს „ეთიკის კოდექსი“, „სტუდენტების ეთიკის კოდექსი“ და „პლაგიატის პრევენციის, გამოვლენის და რეაგირების წესი“ ინგლისურ ენაზე;	
კომპონენტი 3.1 21. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამები შრომის ბაზარზე მოთხოვნადი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მიზნით; 22.	**რეკომენდაციები შესრულებულია.**

რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ საჭიროა ყველა პროგრამის მსგავსი პრეზენტაცია; **კომპონენტი 3.2** 22. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გადახედოს არჩევითი საგნების სიას და უზრუნველყოს მათი გამრავალფეროვნება სტუდენტების მოთხოვნის შესაბამისად, რაც სტუდენტებს მისცემს საშუალებას აირჩიონ საგანი არა მხოლოდ ერთი კონკრეტული პროგრამის ფარგლებში, არამედ მომიჯნავე პროგრამებიდანაც.	
კომპონენტი 4.1 23. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა წაახალისოს თავისი აკადემიური და კვლევითი პერსონალი აქტიური მონაწილეობა მიიღონ კვლევით, შემოქმედებით და საშემსრულებლო პროცესებში შემოქმედებითი პროექტების ინიცირებით და მათთვის დაფინანსების შესაძლებლობების (კონკურსები, დაფინანსების მოზიდვა) მიწოდებით; 25. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დეტალურად შეიმუშაოს მისი პერსონალის პროფესიული განვითარების მიდგომები და სტრატეგია; 24. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პერსონალის მართვის დღის წესრიგში გაითვალისწინოს ანაზღაურების და წახალისების წინასწარ განსაზღვრული პრინციპები, ასევე თანამშრომლების საქმიანობის შესრულების შეფასების შედეგები; 25. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროცედურა, ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრირების და მათი სამუშაო პროცესში ეფექტური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით. 28. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პერსონალის მართვის პროცესში გამოიყენოს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების და კმაყოფილების კვლევის შედეგები;	**რეკომენდაციები შესრულებულია.**

კომპონენტი 4.2 26. რეკომენდებულია, უნივერსიტეტი შეეცადოს მიაღწიოს ან გააუმჯობესოს მისი პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს სამიზნე ნიშნულები; 30. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აკადემიური პერსონალის უკუკავშირის საფუძველზე უზრუნველყოს სამუშაო დატვირთვის სქემის განახლება რეგულარულ რეჟიმში;	
კომპონენტი 6.1 27. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სისტემატურ რეჟიმში უზრუნველყოს სამეცნიერო ხელმძღვანელების და დოქტორანტების მომზადება საკვალიფიკაციო ნაშრომის ფორმატსა და ძირითადი მახასიათებლებთან დაკავშირებით; 28. რეკომენდებულია, რომ ყველა სადისერტაციო ნაშრომი შეესაბამებოდეს უსდ - ს მიერ დადგენილ „წერითი ნაშრომის შესრულების სტანდარტს“; **კომპონენტი 6.2** 29. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სამეცნიერო კვლევის განვითარების და მოტივაციის მოქნილი სისტემა; 30. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს ისეთ პერსონალს, რომელთა სამეცნიერო პროდუქტი, ერთის მხრივ, ხელს უწყობს დარგის განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს საერთაშორისო აღიარებას (ამ კუთხით მათ შეუძლიათ მოიზიდონ ახალი სამეცნიერო კადრებიც); **კომპონენტი 6.3** 31. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს თანმიმდევრულად დაგეგმილი სტრატეგია კვლევითი საქმიანობის ხარისხის გაზრდის მიზნით; ასევე წახალისების (რეაგირების) სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მოტივაციის ამაღლებას, ასევე ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას, აუცილებელია	რეკომენდაციები შესრულებულია

იმ პროფესორების კვლევით საქმიანობაზე რეაგირება, რომლებმაც არ შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა;	
კომპონენტი 7.1 32. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს ჯანდაცვის ობიექტები; **კომპონენტი 7.2** 33. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს, განახორციელოს და პერიოდულად გააანალიზოს გამოკითხვა, სტუდენტების და მასწავლებლების სასწავლო რესურსებით და ობიექტებით კმაყოფილების შეფასების მიზნით; **კომპონენტი 7.3** 34. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილი იყოს, ყველა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ვებ - გვერდის როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვან ვერსიებზე.	**რეკომენდაციები შესრულებულია.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

<u>რეკომენდაციები, რომლებიც არ შესრულდა:</u>

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ 3 წლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული აქტივობისათვის გამოყოს შესაბამისი ფინანსური რესურსები.

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ძირითადი ასპექტების და აქტივობების გაზიარება ლექტორებს, სტუდენტებს, დამსაქმებლებს და კურსდამთავრებულებს შორის, მათ ფართო წარმომადგენლობასთან.

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის კვლევის განხორციელების მიზნით დაასაქმოს ან დანიშნოს შესაბამისი პერსონალი.

რჩევები

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობა შიმოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შიმოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება (არ შეფასებულა)	☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	■	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	■	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	■	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	■	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	■	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება (არ შეფასებულა)	☐	☐	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	■	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	■	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები (არ შეფასებულა)	☐	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐

6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	■	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	■	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	■	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	■	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	■	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	■	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები **(არ შეფასებულა)**	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ნინო მინდიაშვილი (თავმჯდომარე)

თამარ ძველაია (წევრი)

ნინო ალავიძე (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: არ შეფასებულა
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
1.2 სტრატეგიული განვითარება
გაცემული რეკომენდაციები: 1. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გადახედოს 2024 - 2030 წლების სტრატეგიულ გეგმას, იმისათვის, რომ დეტალურად განსაზღვროს კონკრეტული მიზნები და ქმედებები, კოორდინატორები და გაზომვადი ძირითადი შესრულების ინდიკატორები (KIP) (შუალედური და საბოლოო), შესრულების ვადები და რესურსების განაწილება;

2. რეკომენდებულია, დაწესებულებამ დააზუსტოს, ფორმალური გახადოს და თანმიმდევრულად განახორციელოს ანგარიშგების მეთოდოლოგია, რაც მას მისცემს შესაძლებლობას თვალყური ადევნოს სტრატეგიული დაგეგმვის პროგრესს;

3. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს თანმიმდევრული და ინტეგრირებული ურთიერთქმედება / კავშირი სტრატეგიულ და ოპერაციულ მართვას და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას შორის, სადაც ეს უკანასკნელი ხელს უწყობს პირველის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშითა და თანმხლები დოკუმენტაციით ცხადი ხდება, რომ მათ გაიზიარეს რეკომენდაცია და გაატარეს ქმედითი ღონისძიებები, კერძოდ: გადახედეს და განაახლეს 2024-2030 წლების სტრატეგიული გეგმა რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა, ერთი მხრივ, მკაფიო მიზნების განსაზღვრა, ხოლო, მეორე მხრივ, მათი შესრულების ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა. მნიშვნელოვანია, რომ რეკომენდაცია შესრულდა კოლაბორაციული მიდგომით, სამუშაო პროცესს ხელმძღვანელობდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ჩართული იყო ხარისხის სამსახური, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი, კანცელარიისა და კადრების სამსახური, ფაკულტეტები, რამაც შესაძლებელი გახადა დანერგილიყო მკაფიო და გაზომვადი ინდიკატორები (KIP), სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი წელიწადში ორჯერ ხორციელდება. ეფექტიანი სამუშაო პროცესის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტმა დაამატა ახალი თანამშრომელი და განაახლა მატერიალურ- ტექნიკური რესურსი, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს განახორციელებს სამი ადმინისტრაციული კოორდინატორი. მნიშვნელოვანია, რომ დაკორექტირდა სტრატეგიული გეგმის დოკუმენტიც. აღნიშნული პროცესი დასტურდება უსდ-ს მიერ წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმებით.

2. უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ანგარიშგების მეთოდოლოგიის ფორმალიზების და დანერგვის მიმართულებით. განხორციელდა არსებული პრაქტიკების ანალიზი და იდენტიფიცირდა ძირითადი მიმართულებები, რომლებიც საჭიროებს სტანდარტიზებასა და დოკუმენტურად გაფორმებას. ამ მიზნით, შემუშავებულია ანგარიშგების პროცედურების საწყისი მოდელი, რომელიც ითვალისწინებს სტრატეგიული მიზნების შესრულების მონიტორინგის თანმიმდევრულ მიდგომას. პრაქტიკაში უკვე დანერგილია პერიოდული ანგარიშგების სისტემა, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი ერთეულები აწარმოებენ პროგრესის მონიტორინგს და შედეგებს წარუდგენენ უნივერსიტეტის მენეჯმენტს. აღნიშნულმა პროცედურამ ხელი შეუწყო სტრატეგიული დაგეგმვის პროგრესის უფრო სისტემურ შეფასებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობას. ამჟამად, მიმდინარეობს ანგარიშგების მეთოდოლოგიის დოკუმენტური ფორმის — **„ანგარიშგების წესების“** — შემუშავება, რომელიც დააფიქსირებს არსებულ პრაქტიკას და უზრუნველყოფს მის ინსტიტუციონალიზაციას. დოკუმენტის დამტკიცება უნივერსიტეტს მისცემს შესაძლებლობას, კიდევ უფრო გააძლიეროს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მართვა და ანგარიშვალდებულება.

3. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშითა და თანმხლები დოკუმენტებით ცხადი ხდება, რომ ინსტიტუციამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და დაგეგმა ქმედითი

ნაბიჯები მის შესასრულებლად, კერძოდ, შეიქმნა მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტურ შესრულებასა, ასევე, მუდმივ მონიტორინგს. უზრუნველყო სტრატეგიული და ოპერაციული მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას შორის თანმიმდევრული და ინტეგრირებული ურთიერთქმედების შემდგომი განვითარება. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მომზადების, განახლებისა და შესრულების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართულია როგორც მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და რისკების შეფასებაში, ასევე შედეგების მონიტორინგისა და ანგარიშგების მომზადებაში. სამოქმედო გეგმების შესრულების ყოველწლიური მონიტორინგის შედეგების განიხილვა ხდება სამსახურებსა და უნივერსიტეტის მენეჯმენტთან ერთად, რაც უზრუნველყოფს ოპერაციულ გადაწყვეტილებებში სტრატეგიული მიზნების თანმიმდევრულ ინტეგრაციას;
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● **საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგია 2024-2030 წ. დამტკიცებული 2025 წლის 23 ივლისს (ოქმი #12);** ● **საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა 2025;** ● **სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები და დანართები (10 დოკუმენტი: 7 ოქმი, 3 დანართი);**
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

4. **რეკომენდებულია, დაწესებულებამ 3 წლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული აქტივობისათვის გამოყოს შესაბამისი ფინანსური რესურსები.**

5. **რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ძირითადი ასპექტების და აქტივობების გაზიარება და ინფორმაციის შესაბამის დონეზე გავრცელება ადმინისტრაციულ პერსონალს, წევრებს, ლექტორებს, სტუდენტებს, დამსაქმებლებს და კურსდამთავრებულებს შორის.**

6. **რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები გახდეს ყოვლისმომცველი.**

7. **რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის შეფასების პროცედურები და განსაზღვროს შეფასების პროცედურებზე პასუხისმგებელი პერსონალის ფუნქციები.**

8. **რეკომენდებულია, მმართველი ორგანოების კანდიდატებმა არჩევნებამდე წარმოადგინონ თავიანთი ხედვა და გეგმები**

9. **რეკომენდებულია, დაწესებულებამ პრაქტიკის შესაბამისად განახორციელოს ცვლილება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სამუშაო აღწერილობაში.**

10. **რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს QMS მონაცემთა ბაზის გამართული ფუნქციონირება.**

11. **რეკომენდებულია, დაწესებულების ბიზნეს უწყვეტობის გეგმაში გათვალისწინებული იყოს პანდემიური სიტუაციების და სოციალურ - პოლიტიკური დაძაბულობის შესაძლო რისკები, მათი წარმოშობის შემთხვევაში.**

12. **რეკომენდებულია, დაწესებულებამ ბიზნეს უწყვეტობის გეგმაში განსაზღვროს კრიზისულ სიტუაციაში, მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით სათანადო პერსონალი და ქმედებები.**

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტანდარტის მოცემულ ქვე-კომპონენტთან მიმართებით დაწესებულებას მიღებული ჰქონდა 9 რეკომენდაცია.

4. **რეკომენდებულია, დაწესებულებამ 3 წლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული აქტივობისათვის გამოიყოს შესაბამისი ფინანსური რესურსები.**

დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშიდან ირკვევა, რომ სტრატეგიული გეგმის შესრულების 3 წლიანი სამოქმედო გეგმის მეტად ეფექტურობისა და გამჭვირვალობის მიზნით სამოქმედო გეგმაში გაიწერა თითოეული აქტივობის შესაბამისი ფინანსური რესურსი, თუმცა მტკიცებულებად წარმოდგენილ დოკუმენტებში სახელწოდებით - ,,საქართველოს შოთა

რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია 2024-2030", ,,საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2025 წლის სამოქმედო გეგმა" და ,,საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2024/25-2026/27 წლის სამოქმედო გეგმა" ფინანსური რესურსი გაწერილი არ არის. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ რეკომენდაციას შესრულებულად ვერ ჩათვლის.

აღნიშნული **რეკომენდაცია არ არის შესრულებული.**

5. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ძირითადი ასპექტების და აქტივობების გაზიარება და ინფორმაციის შესაბამის დონეზე გავრცელება ადმინისტრაციულ პერსონალს, წევრებს, ლექტორებს, სტუდენტებს, დამსაქმებლებს და კურსდამთავრებულებს შორის.

როგორც ანგარიშიდან ირკვევა - უნივერსიტეტმა უზრუნველყო სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხილვა სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, სამუშაო ჯგუფებში და საბჭოს სხდომებზე. ჩატარდა შეხვედრების ციკლი, რომელშიც მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი და დამსაქმებელი. ასევე აღნიშნულია რომ მათი რეკომენდაციები გაანალიზდა და გათვალისწინებულ იქნა დოკუმენტებში, რის შედეგადაც გეგმა საბოლოოდ დამტკიცდა წარმომადგენლობით საბჭოზე. აღნიშნული ნაბიჯები მოცემული რეკომენდაციის შესასრულებლად მნიშვნელოვან ძალისხმევას უსვამს ხაზს, თუმცა განხორციელებული აქტივობების და ჩართულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ შეხვედრის ოქმებში , უზრუნველყოფილი არის მხოლოდ ნაწილი ადმინისტრაციული პერსონალის, ლექტორების და ერთი დამსაქმებლის ჩართულობა. მოცემული რეკომენდაცია შინაარსობრივად ეხება დაინტერესებული მხარეების ფართო წარმომადგენლობისთვის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გაცნობას.

შესაბამისად, აღნიშნული **რეკომენდაცია შესრულებულად ვერ ჩაითვლება.**

6. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები გახდეს ყოვლისმომცველი.

უნივერსიტეტმა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით განაახლა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი - ,,უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა" და შეიმუშავა მართვის ეფექტიანობის შეფასების ცხრილი. განახლებულ დოკუმენტებში გაწერილია მართვის ეფექტიანობის შეფასების მრავალდონიანი მიდგომა: ინსტიტუციური, სტრუქტურული და პერსონალური. დოკუმენტების გადახედვამ შექმნა მართვის სისტემის შეფასების ყოვლისმომცველი ჩარჩო. უნივერსიტეტმა დანერგა შეფასების პროცესის ინტეგრირებული ციკლი, რომელიც აერთიანებს გეგმების მონიტორინგს, ანგარიშგებას და შეფასებას. ეს ნაბიჯები უზრუნველყოფს მმართველობითი რგოლების ეფექტურობასა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების დროულ მოდიფიცირებას(საჭიროების შემთხვევაში).

უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნული **რეკომენდაცია შესრულებულია.**

7. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის შეფასების პროცედურები და განსაზღვროს შეფასების პროცედურებზე პასუხისმგებელი პერსონალის ფუნქციები.

განახლდა დოკუმენტები – „პერსონალის მართვის პოლიტიკა“ და „უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და პერსონალის შეფასების სისტემა“. მათში გაწერილია პერსონალის შეფასების პროცედურები, კრიტერიუმები, ფორმები, პასუხისმგებელი სტრუქტურები და ახლადშემუშავებული - თანამშრომლის თვითშეფასების ფორმა.
დაწესებულებამ შექმნა სტრუქტურირებული და გამჭვირვალე შეფასების სისტემა. პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილება (კადრების სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფა, უშუალო ხელმძღვანელები) კი ქმნის ანგარიშვალდებულების მყარ მექანიზმს. თვითშეფასების ფორმის დამატება კი ზრდის თანამშრომელთა ჩართულობასა და პასუხისმგებლობას.

უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნული **რეკომენდაცია შესრულებულია.**

8. რეკომენდებულია, მმართველი ორგანოების კანდიდატებმა არჩევნებამდე წარმოადგინონ თავიანთი ხედვა და გეგმები.

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით 2025 წელს გადაიხედა დოკუმენტი „უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევისა და დანიშვნის წესი“, რომლის მიხედვითაც სამოქმედო გეგმის წარდგენა სავალდებულო გახდა არა მხოლოდ რექტორის, არამედ ყველა ხელმძღვანელი ორგანოს კანდიდატისთვის. დოკუმენტის განახლებით უნივერსიტეტმა უზრუნველყო მმართველი ორგანოების არჩევის პროცესის გამჭვირვალობა და პასუხისმგებლობის გაძლიერება. კანდიდატთა ხედვისა და სამოქმედო გეგმის წარდგენა საშუალებას მისცემს ამომრჩეველ ორგანოებს, გადაწყვეტილება მიიღონ ინფორმირებულად და მიზნობრივად.

უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნული **რეკომენდაცია შესრულებულია.**

9. რეკომენდებულია, დაწესებულებამ პრაქტიკის შესაბამისად განახორციელოს ცვლილება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სამუშაო აღწერილობაში.

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით განახლდა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სამუშაო აღწერილობა, პერსონალის მართვის პოლიტიკა და უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და პერსონალის შეფასების სისტემა. მათში გაწერილია პერსონალის შეფასების პროცედურებზე პასუხისმგებელი სტრუქტურები და ახლადშემუშავებული - თანამშრომლის თვითშეფასების ფორმა. განახლებული სამუშაო აღწერილობა ასახავს თანამედროვე HR პრაქტიკას და ქმნის უკეთ კოორდინირებულ ურთიერთქმედებას სტრუქტურებს შორის. ახალი როლების განსაზღვრა უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების პროცესების უფრო სისტემურ და გამჭვირვალე მართვას.

უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნული **რეკომენდაცია შესრულებულია.**

10. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს QMS მონაცემთა ბაზის გამართული ფუნქციონირება.

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით QMS ბაზასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა სისტემური გაუმჯობესება - უნივერსიტეტმა უზრუნველყო თანამშრომელთა ტრენინგი (2025 წლის ივლისი), დანიშნა დამატებითი თანამშრომელი ბაზის მართვისთვის, განახლდა არსებული მონაცემები(მტკიცებულებად წარმოდგენილია განახლებული QMS ბაზა) და დაიწყო ახალი ველების შევსება. გატარებული ღონისძიებები პირდაპირ პასუხობს რეკომენდაციის მიზანს - ბაზის გამართულ ფუნქციონირებასა და ინფორმაციის სიზუსტეს. თანამშრომელთა გადამზადება და რესურსის დამატება მნიშვნელოვნად შეამცირებს ტექნიკურ ხარვეზებს და გაზრდის მონაცემთა ხარისხს.

უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.

11. რეკომენდებულია, დაწესებულების ბიზნეს უწყვეტობის გეგმაში გათვალისწინებული იყოს პანდემიური სიტუაციების და სოციალურ - პოლიტიკური დაძაბულობის შესაძლო რისკები, მათი წარმოშობის შემთხვევაში.

რეკომენდაციის საფუძველზე უნივერსიტეტმა განაახლა დოკუმენტი „ბიზნეს უწყვეტობის გეგმა“. ახალი ვერსია მოიცავს აღნიშნულ რისკებს, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს და ქმედებათა თანმიმდევრობას კრიზისულ სიტუაციებში.

უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნული **რეკომენდაცია შესრულებულია.**

12. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ბიზნეს უწყვეტობის გეგმაში განსაზღვროს კრიზისულ სიტუაციაში, მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით სათანადო პერსონალი და ქმედებები.

აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე უნივერსიტეტმა განაახლა დოკუმენტი „ბიზნეს უწყვეტობის გეგმა“. ახალი ვერსია განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს და ქმედებათა თანმიმდევრობას კრიზისულ სიტუაციებში. განახლებულ დოკუმენტში განსაზღვრული პასუხისმგებელი პერსონალი მნიშვნელოვნად აძლიერებს ოპერატიული რეაგირების მზაობას.

უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნული **რეკომენდაცია შესრულებულია.**

დაწესებულებამ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით მიღებული 9 რეკომენდაციიდან 7 რეკომენდაცია შეასრულა, ხოლო **2 რეკომენდაცია არ არის შესრულებული.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ანგარიში.
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია 2024-2030.

- ,საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2025 წლის სამოქმედო გეგმა.
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2024/25-2026/27 წლის სამოქმედო გეგმა.
- პერსონალის მართვის პოლიტიკა.
- უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა.
- მართვის ეფექტიანობის შეფასების ცხრილი.
- განახლებული QMS ბაზა.
- უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევისა და დანიშვნის წესი.

რეკომენდაციები, რომლებიც არ შესრულდა:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ 3 წლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული აქტივობისათვის გამოყოს შესაბამისი ფინანსური რესურსები.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ძირითადი ასპექტების და აქტივობების გაზიარება ლექტორებს, სტუდენტებს, დამსაქმებლებს და კურსდამთავრებულებს შორის - მათ ფართო წარმომადგენლობასთან.

რჩევები:

=

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.

- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტანდარტის მოცემულ ქვე-კომპონენტთან მიმართებით დაწესებულებას მიღებული ჰქონდა 6 რეკომენდაცია.

13. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის კვლევის განხორციელების მიზნით დაასაქმოს ან დანიშნოს შესაბამისი პერსონალი.

აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად უნივერსიტეტისთვის რეკომენდებული იყო რომ დაესაქმებინათ/დაენიშნათ პერსონალი, რომელსაც აქვს სოციოლოგიური კვლევის ჩატარების გამოცდილება და სტატისტიკის სათანადო ცოდნა. ასეთი პერსონალის ჩართულობა აუცილებელია რათა უნივერსიტეტში ჩატარდეს ხარისხის კვლევები, რომლებიც განსაზღვრავს საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩართული დაინტერესებული მხარეების საჭიროებებსა და კმაყოფილებების დონეს. აღნიშნული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით უნივერსიტეტმა უნდა დააფუძნოს რესურსების, სერვისების, პროცესების და პროცედურების მუდმივი შეფასება და განვითარება.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე დგინდება რომ აღნიშნული რეკომენდაცია მათთვისაც საგულისხმოა და გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, კერძოდ - ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, ,,შემუშავდა პერსონალის სამუშაოს აღწერილობა" და აღნიშნული ინიციატივა ინტეგრირდა 2026 წლის ბიუჯეტის პროექტში. დაწესებულებამ პირველად ეტაპზე წარმოადგინა სამუშაო შეხვედრების ოქმები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტების - ,,ა) 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი/ამონაწერი, სადაც გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში განსაზღვრული კვლევებზე პასუხისმგებელი პირის ხელფასი და 2) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში კმაყოფილების კვლევების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაოს აღწერილობა" საფუძველზე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს შორის არის -აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებები, რომლებიც ეხება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პოზიციაზე კანდიდატურის წარდგენას და დამტკიცებას, ხელშეკრულება ,,ხარისხის უზრუნვლყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანაშემწის" პოზიციაზე მყოფ პირთან, ,,უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის სტუდენტთა და პერსონალის უკუკავშირის, მონიტორინგის, ანალიზის სპეციალისტ-კოორდინატორის სამუშაო აღწერილობა (ვრცელი ვერსია)", 2026 წლის ბიუჯეტის კონსოლიდირებული ვერსია, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები, თუმცა მათ შორის არ არის სტუდენტთა და პერსონალის უკუკავშირის, მონიტორინგის, ანალიზის სპეციალისტ-კოორდინატორთან დადებული ხელშეკრულება, შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს მეტწილად შესრულებულად.

მიმდინარე შეფასების ეტაპზე მოცემული **რეკომენდაცია უნივერსიტეტის მხრიდან მეტწილად შესრულდა.**

14. რეკომენდებულია, დაწესებულებამ განსაზღვროს საზოგადოების განვითარების და ცოდნის გავრცელების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შეფასების პრინციპები.

უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რეკომენდაცია, შეიმუშავა როგორც საზოგადოების განვითარების და ცოდნის გავრცელების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შეფასების პრინციპები, ასევე ამ მიმართულებით სხვა მნიშვნელოვანი საკითხები და დაამტკიცა დოკუმენტად – „უნივერსიტეტის მესამე მისია: სტრატეგია, ძირითადი მიდგომები და განხორციელებული საქმიანობის შეფასების პრინციპები“. აღნიშნული დოკუმენტი საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე.

უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნული **რეკომენდაცია შესრულებულია.**

15. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის ყოვლისმომცველი მექანიზმები.

უნივერსიტეტმა სრულად გაითვალისწინა რეკომენდაციის არსი და შეიმუშავა ყოვლისმომცველი მექანიზმები, რომლებიც აერთიანებს ხარისხის უზრუნველყოფის ყველა ძირითად კომპონენტს. შემუშავებული დოკუმენტი ქმნის სისტემურ ჩარჩოს, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ პროცესების დოკუმენტირებას, არამედ მათ ეფექტიანობაზე ზრუნვის მექანიზმებსაც. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს ხარისხის მენეჯმენტის უწყვეტობასა და სტრატეგიულ მიმართულებას. „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, მექანიზმები და პროცედურები“ საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე -

უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნული **რეკომენდაცია სრულად არის შესრულებული.**

16. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის კვლევის პოლიტიკა და პროცედურები.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა ინტენსიური სამუშაო განახორციელა აღნიშნული მიმართულებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, მექანიზმები და პროცედურები“, რომელშიც ერთ-ერთი დამოუკიდებელი თავი მთლიანად ეძღვნება კვლევის პოლიტიკასა და პროცედურებს. დოკუმენტი განსაზღვრავს კვლევის მიზნებს, მეთოდოლოგიურ მიდგომებს, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის წესს, კვლევის ტიპებს (სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვები და სხვ.), ასევე კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისა და გამოყენების პრინციპებს. აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტი მნიშვნელოვნად აძლიერებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ანალიტიკურ და მტკიცებულებაზე დაფუძნებულ ბუნებას. „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, მექანიზმები და პროცედურები“ საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე -

უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნული **რეკომენდაცია სრულად არის შესრულებული.**

17. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შინაგანაწესთან შესაბამისობის მიზნით გაზარდოს დამხმარე სივრცე.

2024 წელს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა კონტიგენტი განისაზღვრა 1200 სტუდენტით (ნაცვლად წინა ავტორიზაციით განსაზღვრული 1700-სა), რაც უნივერსიტეტის მიერ 2024 წელს წარმოდგენილ საავტორიზაციო განაცხადში მოთხოვნილ სტუდენტთა რაოდენობაზე მცირეა. ,,სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის წესის" მიხედვით 1 სტუდენტს უნდა ჰქონდეს 2 კვ/მ დამხმარე სივრცე. ამჟამად დამხმარე სივრცე არის 2726 კვ.მ, რაც საკმარისია დამტკიცებულ კვოტაზე მეტი რაოდენობის სტუდენტებისთვის.

უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნული **რეკომენდაცია სრულად არის შესრულებული.**

18. რეკომენდებულია, დაწესებულებამ განახორციელოს ცვლილება ,,სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესში" ისე, რომ მასში განისაზღვროს პროგრამის სპეციფიკური სამიზნე ნიშნულები.

აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე უნივერსიტეტში განხორციელდა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტის - ,,სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის წესის" განახლება, რომელშიც ჩაიწერა პროგრამის დონეზე სამიზნე ნიშნულები. ეს ცვლილება ინსტიტუციისთვის ქმნის მნიშვნელოვან მექანიზმს სტუდენტთა კონტინგენტის რეალისტური პროგნოზისა და რესურსების (ადამიანური, მატერიალური, ინფრასტრუქტურული) თანხვედრისთვის.

უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნული **რეკომენდაცია სრულად არის შესრულებული.**

დაწესებულებამ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით მიღებული 6 რეკომენდაციიდან 5 რეკომენდაცია სრულად შეასრულა, ხოლო მიმდინარეობს მუშაობა თუმცა **არ შესრულებულა 1.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ანგარიში
- შიდა შეხვედრების ოქმები (დანართები N12 და N12.1.)
- უნივერსიტეტის მესამე მისია: სტრატეგია, ძირითადი მიდგომები და განხორციელებული საქმიანობის შეფასების პრინციპები
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, მექანიზმები და პროცედურები
- სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის წესი
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი

რეკომენდაცია რომელიც არ შესრულდა:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის კვლევის განხორციელების მიზნით დაასაქმოს ან დანიშნოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი.

რჩევები:

N/A

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტანდარტის მოცემულ ქვე-კომპონენტთან მიმართებით დაწესებულებას მიღებული ჰქონდა 2 რეკომენდაცია.

19. რეკომენდებულია, დაწესებულებამ განაახლოს ან შეიმუშაოს ახალი ხელშეკრულება პლაგიატის გამოვლენის იმავე ან სხვა პროგრამული უზრუნველყოფის მომწოდებელთან.

მიმდინარე ეტაპზე, უნივერსიტეტმა მტკიცებულებების სახით წარმოადგინა როგორც 2024 წლის, ასევე 2025 წლის ხელშეკრულებები შესაბამის მომწოდებელთან, რაც მკაფიოდ ადასტურებს, რომ პლაგიატის გამოვლენის პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურება უწყვეტად უზრუნველყოფილია.

უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნული რეკომენდაცია **სრულად არის შესრულებული.**

20. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე განათავსოს „ეთიკის კოდექსი“, „სტუდენტების ეთიკის კოდექსი“ და „პლაგიატის პრევენციის, გამოვლენის და რეაგირების წესი“ ინგლისურ ენაზე.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული არის ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების ინგლისურენოვანი ვერსიები, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ეთიკური ჩარჩოსა და

აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის. უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნული რეკომენდაცია **სრულად არის შესრულებული.** დაწესებულებამ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით მიღებული 2 რეკომენდაციიდან 2-ივე რეკომენდაცია სრულად შეასრულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● ანგარიში ● შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები plagiat.pl 2024 და 2025 წ.წ. დანართები N18 და N19 ● უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: N/A
რჩევები: N/A
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
21. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამები შრომის ბაზარზე მოთხოვნადი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მიზნით; **22. რეკომენდებულია,** დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ საჭიროა ყველა პროგრამის მსგავსი პრეზენტაცია;

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

21. დაწესებულებამ განახორციელა რეკომენდაცია, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულ იქნა პროგრამები შრომის ბაზარზე მოთხოვნადი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მიზნით. აღნიშნული პროგრამების ფორმირება ეფუძნება შრომის ბაზრის ტენდენციების, სექტორული მოთხოვნებისა და დამსაქმებელთა საჭიროებების ანალიზს. პროგრამების შინაარსი და სასწავლო მიზნები უზრუნველყოფს სტუდენტების პროფესიული კომპეტენციების განვითარებას, რაც მათ საშუალებას აძლევს, წარმატებით ინტეგრირდნენ სამუშაო გარემოში. დამატებით, დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, რაც ხელს უწყობს პროგრამების მუდმივ განახლებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

22. დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებდა ყველა საგანმანათლებლო პროგრამის მსგავს ფორმატში პრეზენტაციის უზრუნველყოფას. ამ მიზნით, შემუშავებულ იქნა ერთიანი სტრუქტურა და სტანდარტი პროგრამების პრეზენტაციისთვის, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის თანმიმდევრულ, გამჭვირვალე და ადვილად აღსაქმელ ფორმატში წარმოდგენას. ერთიანი პრეზენტაციის ფორმატის დანერგვა ხელს შეუწყობს პროგრამების შედარებას, საჯაროობის გაზრდასა და დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის უფრო ეფექტურ მისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალობებისთვის პროგრამების შემუშავების გეგმა;
- დრამის ფაკულტეტის BA, MA, PhD საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (დანართები N26.1; N26.2 ; N26.3);
- კინოტელე ფაკულტეტის BA, MA, PhD საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (დანართი N25);
- სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის BA, MA, PhD საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგები (დანართი N24.1; N24.2; N24.3).

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

23. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გადახედოს არჩევითი საგნების სიას და უზრუნველყოს მათი გამრავალფეროვნება სტუდენტების მოთხოვნის შესაბამისად, რაც სტუდენტებს მისცემს საშუალებას აირჩიონ საგანი არა მხოლოდ ერთი კონკრეტული პროგრამის ფარგლებში, არამედ მომიჯნავე პროგრამებიდანაც.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

23. დაწესებულებამ უზრუნველყო არჩევითი საგნების სიის გადახედვა და განახლება სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საგნების ჩამონათვალი გახდა მრავალფეროვანი და სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა აირჩიონ არჩევითი საგნები არა მხოლოდ საკუთარი პროგრამის ფარგლებში, არამედ მომიჯნავე პროგრამებიდანაც. კინო-ტელე ფაკულტეტის ყველა სპეციალობის სტუდენტებისთვის საბაკალავრო პროგრამების არჩევით კურსებს დაემატა შემდეგი ჩამონათვალი: ევროპული ცივილიზაცია; რელიგია და პოლიტიკური პროცესები (ჯგუფის შექმნის პირობით); ქართული ზეპირსიტყვიერება (ფოლკლორი); ქართული ხელოვნება და გარესამყარო; პრაქტიკული სტილისტიკა და წერის კულტურა; კინოჟურნალისტიკის სპეციფიკა; სიმბოლო ხელოვნებაში; მსოფლიო მუსიკის ისტორია. სამაგისტრო პროგრამის დრამის ფაულტეტზე დაემატა შემდეგი სასწავლო კურსები: ფსიქოანალიზისა და განწყობის თეორია; ქართული მითოლოგია; პოსტმოდერნული ხელოვნების თეორიის ძირითადი პრინციპები; ქორეოგრაფიული ნიმუშის კრიტიკული ანალიზი და სხვ… აღნიშნულმა მიდგომამ ხელი შეუწყო სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო მარშრუტების გაძლიერებას, აკადემიური თავისუფლების გაზრდასა და მრავალდარგობრივი კომპეტენციების განვითარებას. არჩევითი საგნების პოლიტიკის განახლება განხორციელდა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და საჭიროებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში

- დრამის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების არჩევითი კურსების გაერთიანებული სია (დანართი N27);
- კინო-ტელე ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების გაერთიანებული არჩევითი კურსების გაერთიანებული სია (დანართი N28);
- სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების გაერთიანებული არჩევითი კურსების სია (დანართი N29);
- სამაგისტრო პროგრამების არჩევითი კურსების გაერთიანებული სია (დანართი N30);
- სადოქტორო პროგრამების არჩევითი კურსების გაერთიანებული სია (დანართი N31);
- აკადემიური საბჭოს დადგენილება არჩევითი კურსების დამატების თაობაზე (დანართი N32);

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

არ შეფასებულა

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
24. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა წაახალისოს თავისი აკადემიური და კვლევითი პერსონალი აქტიური მონაწილეობა მიიღონ კვლევით, შემოქმედებით და საშემსრულებლო პროცესებში შემოქმედებითი პროექტების ინიცირებით და მათთვის დაფინანსების შესაძლებლობების (კონკურსები, დაფინანსების მოზიდვა) მიწოდებით; **25. რეკომენდებულია,** უნივერსიტეტმა დეტალურად შეიმუშაოს მისი პერსონალის პროფესიული განვითარების მიდგომები და სტრატეგია; **26. რეკომენდებულია,** უნივერსიტეტმა პერსონალის მართვის დღის წესრიგში გაითვალისწინოს ანაზღაურების და წახალისების წინასწარ განსაზღვრული პრინციპები, ასევე თანამშრომლების საქმიანობის შესრულების შეფასების შედეგები; **27. რეკომენდებულია,** უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროცედურა, ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრირების და მათი სამუშაო პროცესში ეფექტური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით. **28. რეკომენდებულია,** უნივერსიტეტმა პერსონალის მართვის პროცესში გამოიყენოს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების და კმაყოფილების კვლევის შედეგები;
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

24. რეკომენდაციის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა მნიშვნელოვნად გააძლიერა თანამშრომელთა წახალისებისა და კვლევით-შემოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობის მიმართულება. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების — ხარისხის უზრუნველყოფის, საფინანსო, კადრებისა და კანცელარიის სამსახურების — კოორდინირებული მუშაობით განხორციელდა მნიშვნელოვანი ორგანიზაციული ცვლილებები, რაც მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის მიზნებისა და პრიორიტეტების უფრო მკაფიო განსაზღვრას და მათი მიღწევის ეფექტური მექანიზმების დანერგვას. შედეგად, ჩამოყალიბდა პერსონალის წახალისების გამჭვირვალე სისტემა, რომელიც ეფუძნება პროფესიული წარმატების, შემოქმედებითი აქტივობისა და უნივერსიტეტის განვითარებაში შეტანილი წვლილის აღიარების პრინციპს. ახალი მიდგომა ითვალისწინებს თანამშრომელთა წახალისებას სხვადასხვა ფორმით — მათ შორის მატერიალური წახალისებით, საჯარო აღიარებითა და სამსახურებრივი დაწინაურებით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში გაიზარდა აკადემიური და კვლევითი პერსონალის ჩართულობა კვლევით, შემოქმედებით და საშემსრულებლო საქმიანობაში. ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაძლიერდა შემოქმედებითი პროექტების ინიცირება და დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობების გამოყენება, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის კვლევითი და შემოქმედებითი პოტენციალის ზრდას. დაწესებულებაში დანერგილია პრაქტიკა, რომელიც მოიცავს ინფორმაციის სისტემატურ მიწოდებას მიმდინარე ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროგრამების შესახებ, ასევე, მენტორულ მხარდაჭერას პროექტების განაცხადების მომზადების პროცესში. 2025 წელს დაფინანსდა 18 პროექტი, რომელშიც მონაწილეობენ ლექტორები, დოქტორანტები და სტუდენტები, ხოლო დამატებით დაფინანსების მოსაპოვებლად წარდგენილია კიდევ 9 პროექტი. აღნიშნული დინამიკა ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტმა წარმატებით უზრუნველყო პერსონალის წახალისების სისტემისა და კვლევით-შემოქმედებითი აქტივობების მხარდაჭერის მექანიზმების დანერგვა.

25. რეკომენდაციის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა დეტალურად შეიმუშავა პერსონალის პროფესიული განვითარების სტრატეგია და შესაბამისი მიდგომები. განხორციელებული ნაბიჯები მოიცავს უნარების შეფასების სისტემის შექმნას, ინდივიდუალური განვითარების გეგმების შემუშავებას, ტრენინგებისა და სასწავლო პროგრამების ორგანიზებას, რომლებიც პასუხობს თანამედროვე აკადემიურ მოთხოვნებს. სტრატეგიის საფუძველზე განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო პერსონალის კომპეტენციების ამაღლებას, ინოვაციური პრაქტიკების დანერგვას და აკადემიური საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას. უნივერსიტეტმა უზრუნველყო სისტემატური მხარდაჭერა, რითაც თანამშრომლები შეძლებენ საკუთარი პროფესიული პოტენციალის სრულ რეალიზებას, როგორც კვლევითი, ასევე საგანმანათლებლო მიმართულებით. დამატებით, პროფესიული განვითარების სტრატეგია ითვალისწინებს პროგრესის შეფასების რეგულარულ მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს მიდგომების ეფექტურობის მონიტორინგსა და საჭიროების შემთხვევაში მათ დროულ შეცვლას.

26. რეკომენდაციის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა პერსონალის მართვის დღის წესრიგში დაამკვიდრა ანაზღაურებისა და წახალისების წინასწარ განსაზღვრული პრინციპები. აღნიშნულმა მიდგომამ უზრუნველყო გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა და სამართლიანობა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის თანამშრომელთა მოტივაციასა და

კმაყოფილებას. გარდა ამისა, განისაზღვრა თანამშრომლების საქმიანობის შესრულების შეფასების მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება ინდივიდუალურ შედეგებს, აკადემიურ აქტივობასა და შემოქმედებით/კვლევით წვლილს. შეფასების პროცესში მიღებული მონაცემები გამოიყენება როგორც პროფესიული განვითარების, ისე წახალისების, სამსახურეობრივი დაწინაურებისა და ანაზღაურების გადაწყვეტილებების საფუძვლად. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ორგანიზაციული ეფექტურობის ზრდას, თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებას და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემასთან სრულ შესაბამისობას.

27. რეკომენდაციის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა დეტალური პროცედურა ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრირებისათვის. პროცედურა მოიცავს მიმართულებებს, რომელიც უზრუნველყოფს ახალ თანამშრომელთა სწრაფ ადაპტაციას, პროფესიული ფუნქციების ეფექტურ განხორციელებასა და სრულ ჩართულობას საგანმანათლებლო, კვლევით და ადმინისტრაციულ პროცესებში. ინტეგრაციის პროცესში გათვალისწინებულია ორგანიზაციული კულტურის, ასევე, სასწავლო და ადმინისტრაციული რესურსების გაცნობა, როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური მიზნების გასაზიარებლად. გარდა ამისა, პროცესში ჩართულია მენტორული მხარდაჭერა და რეგულარული მონიტორინგი, რაც საშუალებას აძლევს ადმინისტრაციას დროულად გამოვლინოს საჭიროებები და მხარდაჭერა უზრუნველყოს თანამშრომელთა მაქსიმალური ეფექტურობისთვის. ამ მიდგომამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ახალი თანამშრომლების ადაპტაციის ხარისხი, სამუშაო პროცესში ჩართულობა და მთლიანობაში აძლიერებს უნივერსიტეტის ორგანიზაციულ ეფექტურობას.

28. რეკომენდაციის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა პერსონალის მართვის პროცესში სრულად გაითვალისწინა აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები. მიღებული მონაცემები გამოყენებულია როგორც თანამშრომელთა პროფესიული განვითარების, ასევე წახალისების, სამსახურებრივი დაწინაურების და ანაზღაურების გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლად. ამ მიდგომის შედეგად უნივერსიტეტში აღინიშნება გადაწყვეტილებების მაღალი გამჭვირვალობა, სამართლიანობა და თანამშრომელთა მოტივაციის ზრდა. კვლევის შედეგების სისტემატური ანალიზი უზრუნველყოფს პერსონალის მართვის პროცესების ეფექტურ მონიტორინგსა და საჭიროების შემთხვევაში დროულ კორექტირებას, რაც მთლიანობაში აძლიერებს უნივერსიტეტის აკადემიური მუშაობის ხარისხს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა (დანართი N33);
- უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევისა და დანიშვნის წესი (დანართი N34);
- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა (დანართი N35);
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი (დანართი N36);

- ოქმის დანართი - პერსონალის მართვის სტრატეგიის თაობაზე (დანართი N37).

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

29. რეკომენდებულია, უნივერსიტეტი შეეცადოს მიაღწიოს ან გააუმჯობესოს მისი პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს სამიზნე ნიშნულები;

30. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აკადემიური პერსონალის უკუკავშირის საფუძველზე უზრუნველყოს სამუშაო დატვირთვის სქემის განახლება რეგულარულ რეჟიმში;

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

29. უნივერსიტეტმა აქტიურად იმუშავა პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს სამიზნე ნიშნულების გაუმჯობესებაზე და ამისთვის შექმნა სისტემური მიდგომა, რომელიც საშუალებას აძლევს ეფექტურად ადევნოს თვალყური თითოეული თანამშრომლის შედეგებს. ეს პროცესი არა მხოლოდ უზრუნველყოფს მიზნების შესრულებას, არამედ ხელს უწყობს პროფესიული განვითარების და ინოვაციური გადაწყვეტილებების დანერგვას. შედეგად, გაიზარდა თანამშრომელთა მოტივაცია და პასუხისმგებლობა, რაც გამოიხატა უკეთ ორგანიზებულ პროცესებში, შედეგებზე ორიენტირებულ სამუშაოში და უნივერსიტეტის საერთო ხარისხის ამაღლებაში.

30. რეკომენდაციის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა რეგულარულად განაახლა აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა, აკადემიური პერსონალის უკუკავშირის შედეგების საფუძველზე. ეს მიდგომა ხელს შეუწყობს სამუშაოს სამართლიან და ხვედრით განაწილებას, მხარს დაუჭერს პერსონალის პროფესიულ განვითარებას,

ზრდის მოტივაციას. უნივერსიტეტში შექმნილია მექანიზმი, რომელიც არა მხოლოდ აღიქვამს და ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის საჭიროებებს, არამედ ხელს უწყობს უფრო ეფექტურ და პროდუქტიულ საგანმანათლებლო პროცესს. რეგულარული უკუკავშირის გამოყენება სამუშაო დატვირთვის ოპტიმიზაციისთვის უზრუნველყოფს უნივერსიტეტის რესურსების უკეთ ფორმირებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● თვითშეფასების ანგარიში ● სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების წესი და დანართები (N38.1; N38.2; N38.3; N38.4); ● კინო-ტელე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიში აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემის შესახებ (დანართი N39); ● აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საჭიროებები - გამოკითხვის შედეგები (დანართი N40); ● პერსონალის დატვირთვის გაუმჯობესების გეგმა (დანართი N41); ● პერსონალის საჭირებები - გამოკითხვის შედეგების ანალიზი (დანართი N42);
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: არ შეფასებულა
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
○ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. ○ უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას. ○ უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: არ შეფასებულა

მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
31. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სისტემატურ რეჟიმში უზრუნველყოს სამეცნიერო ხელმძღვანელების და დოქტორანტების მომზადება საკვალიფიკაციო ნაშრომის ფორმატსა და ძირითადი მახასიათებლებთან დაკავშირებით; 32. რეკომენდებულია, რომ ყველა სადისერტაციო ნაშრომი შეესაბამებოდეს უსდ - ს მიერ დადგენილ „წერითი ნაშრომის შესრულების სტანდარტს“.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი **31.** საავტორიზაციო პერიოდში უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში, ინტერვიუებისა და შესწავლილი დოკუმენტაციის შედეგად დადგინდა, რომ სადოქტორო პროგრამის სტუდენტებსა და მათ სამეცნიერო ხელმძღვანელებს, ხშირ შემთხვევაში არ ჰქონდათ, ან, არასრულად ფლობდნენ ინფორმაციას დადგენილი სტანდარტების შესახებ, ასევე, გამოიკვეთა, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელები, გარკვეულ შემთხვევებში, სრულად არ ფლობდნენ ინფორმაციას მათი ფუნქცია-მოვალეობების შესახებ. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის შესრულების ანგარიშითა და დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მათ გააძლიერეს მუშაობა აღნიშნული მიმართულებით, რაც განპირობებული იყო, ასევე, დოქტორანტურის ახალი ჩარჩო დოკუმენტით, განახლდა და დაიხვეწა დოქტორანტურის დებულება, შემუშავდა დოქტორანტობის კანდიდატის შეფასების წესი, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ პლაგიატის პრევენციისა და აღმოჩენის წესს დაემატა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების წესი.

მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტში დაიგეგმა განმავითარებელი ტრენინგების ჩატარების აუცილებელი სისტემა, ჩატარდა ტრენინგები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, საკვალიფიკაციო ნაშრომის ფორმატი, ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის საკითხები; კვლევის თეორიული ჩარჩოს სპეციფიკა; ტრენინგი დოქტორანტების ხელმძღვანელობის საკითხებზე, ტრენინგები საინფორმაციო ტექნოლოგიებზე მეცნიერთათვის. აღსანიშნავია, რომ ჩატარებული ღონისძიებები დასტურდება უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დანართი დოკუმენტებით. 32. უნივერსიტეტში ვიზიტისას დაცული დისერტაციების ფორმალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ გარკვეულ შემთხვევებში შეინიშნებოდა უსდ-ს მიერ დადგენილ სტანდარტთან შეუსაბამობები, რაც, უპირატესად, ეხებოდა საკვალიფიკაციო ნაშრომების ფორმალურ მხარეს, ციტირება, ბიბლიოგრაფია, გაფორმება, სტრუქტურული მახასიათებლები. უნივერსიტეტიდან დამატებით გამოვითხოვეთ ბოლო პერიოდში დაცული დისერტაციები, საკვალიფიკაციო ნაშრომების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ რეკომენდაცია შესრულებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● **განახლებული დოკუმენტი: სადისერტაციო საბჭოს დებულება;** ● **დოქტორანტობის კანდიდატის შეფასების წესი** ● **პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების წესი;** ● **ჩატარებული ტრენინგების ამსახველი მასალა.**
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

33. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სამეცნიერო კვლევის განვითარების და მოტივაციის მოქნილი სისტემა;

34. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს ისეთ პერსონალს, რომელთა სამეცნიერო პროდუქტი, ერთის მხრივ, ხელს უწყობს დარგის განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს საერთაშორისო აღიარებას (ამ კუთხით მათ შეუძლიათ მოიზიდონ ახალი სამეცნიერო კადრებიც).

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

33. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციას შემუშავებული ჰქონდა ნორმატიული დოკუმენტები სამეცნიერო კვლევების განვითარებასთან დაკავშირებით, ვიზიტისას, ინტერვიუების პროცესითა და შესწავლილი დოკუმენტებით დადგინდა, რომ კვლევების ინტერნაციონალიზაციისთვის საჭირო იყო შემუშავებულიყო უფრო მოქნილი სისტემა, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობდა კვლევების ინტერნაციონალიზაციას, ხოლო, მეორე მხრივ, განაპირობებდა პერსონალის მოტივაციას.

წარმოდგენილი ანგარიშითა და თანმხლები დოკუმენტაციით დგინდება, რომ აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების წახალისების მიზნით, ხარისხის სამსახურისა და ბიბლიოთეკის კოლაბორაციით შემუშავდა სტრატეგია, რომელიც გულისხმობს შემდეგს, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვლევების ინტერნაციონალიზაციის მიზნით, დაიწყო ინტენსიური მუშაობა დარგობრივი ჟურნალების მოძიებაზე, რომლებიც ინდექსირებულია საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ბაზებში, აღნიშნული მიდგომით უნივერსიტეტი აარიდებს პროფესორებს ფორმალურ პროცედურებს და ხელს შეუწყობს კვლევების ინტერნაციონალიზაციას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ უსდ-ს შემუშავებული და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის მიერ კვლევების ფინანსურ უზრუნველყოფას.

34.აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პერიოდში ინსტიტუციამ გააძლიერა მუშაობა უცხოურ სამეცნიერო-სასწავლო ცენტრებთან, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა კონსორციუმი, რომლის ფარგლებში დაიგეგმა ჩეხეთის, ქ. ბრნოს მასარიკის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტთან ერთად შემუშავდა პროექტი, რომელიც წარდგენილია პროგრამაში **HORIZON-MSCA-SE-2025 - MARIE SKŁODOWSKA-CURIE ACTIONS.** პროექტის სახელწოდებაა Shared Heritage of Ani Revisited. აღნიშნული პროექტის მიზანია უნივერსიტეტის პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო კავშირების გაღრმავება და თანამშრომლობა, რომლის შედეგაად შეიძლება ჩაითვალოს დოქტორანტის სამეცნიერო ვიზიტი მასარიკის უნივერსიტეტში.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება რომ უნივერსიტეტის ყოველწლიური სამეცნიერო ღონისძიების „ხელოვნების მკვლევართა საერთაშორისო კონფერენციისა“ და ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებულის გამოცემისთვის შესაძლებელი გახდა საერთაშორისო UNESCO-ს დაფინანსების მოპოვება. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეობენ ქართველი და უცხოელი მკვლევრები, სულ 70 მომხსენებელი, რომელთა

სამეცნიერო დისკუსიები მომავალი თანამშრომლობისა თუ გამოცდილების გაზიარების საწინდარია. დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს ინსტიტუციის მიერ გაფორმებული მემორანდუმები უცხოურ უნივერსიტეტებთან, რაც სხვა საკითხებთან ერთად, სამეცნიერო, კვლევით და შემოქმედებით თანამშრომლობასაც გულისხმობს. 1. მასარიკის უნივერსიტეტი (ბრნო, ჩეხეთი, 22.01.2024) 2. გროტოვსკის ინსტიტუტი (ვროცლავი, პოლონეთ, 16.10.2024) 3. კლაიპედას უნივერსიტეტი (ლიეტუვა, 18.11.2024) 4. კარპენკო-კარის თეატრის, კინოსა და ტელევიზიის უნივერსიტეტი (უკრაინა, 27.11.2024) 5. ვალენსიის ნაჩო დუატოს ცეკვის კონსერვატორია (ვალენსია, ესპანეთი, 12.02.2025) 6. ყაზახეთის ხელოვნების ეროვნული უნივერისტეტი (ასტანა, ყაზახეთი, 07.02.2025 7. პოლონურ-ჩეხური სამეცნიერო საზოგადოება (ვროცლავი, პოლონეთი, 04.09.2025)
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● **სამეცნიერო საქმიანობის სტრატეგია და სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი ;** ● **სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები და ფინანსური უზრუნველყოფა;** ● **სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი თანამშრომლობის ფარგლებში ბოლო საანგარიშო პერიოდში გაფორმებული მემორანდუმები.**
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

35. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს თანმიმდევრულად დაგეგმილი სტრატეგია კვლევითი საქმიანობის ხარისხის გაზრდის მიზნით; ასევე წახალისების (რეაგირების) სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მოტივაციის ამაღლებას, ასევე ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას, აუცილებელია იმ პროფესორების კვლევით საქმიანობაზე რეაგირება, რომლებმაც არ შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტში ვიზიტით, შესწავლილი დოკუმენტებითა და ინტერვიუს პროცესით დადასტურდა, რომ ინსტიტუციას შემუშავებ ული ჰქონდა "სამეცნიერო საქმიანობის სტრატეგია და სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი", წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ ინსტიტუციამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და ცვლილებები შეიტანა ზემოთხსენებულ დოკუმენტში, რაც, ერთი მხრივ, გუ ლისხმობს სამეცნიერო/აკადემიური პერსონალის წახალისების მექანიზმებს, ხოლო, მეორე მხრივ იმ პროფესორების კვლევით საქმიანობაზე რეაგირებას, რომლებმაც არ შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, 2006 წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია წახალისების ფინანსური უზრუნველყოფა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● **სამეცნიერო საქმიანობის სტრატეგია და სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი;** ● **პერსონალის მართვის პოლიტიკა;** ● **სამეცნიერო კვლევის განვითარების მექანიზმები;**
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
36. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს ჯანდაცვის ობიექტები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ინსტიტუციამ წარმოადგინა ფოტომასალა და დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ ინსტიტუციამ მეორე ადმინისტრაციულ კორპუსში ჩაატარა სამედიცინო ოთახის სარემონტო სამუშაოები, განახლდა და ეფექტიანი გახდა ინფრასტრუქტურა. უნივერსიტეტი გრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: **ჯანდაცვის ობიეექტის რემონტის შესახებ ჩატარებული სამუშაოების დოკუმენტაცია და ექიმის ოთხის რემონტის შემდგომი მდგომარეობის ამსახველი ფოტოები.**
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები
37. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს, განახორციელოს და პერიოდულად გააანალიზოს გამოკითხვა, სტუდენტების და მასწავლებლების სასწავლო რესურსებით და ობიექტებით კმაყოფილების შეფასების მიზნით.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მათ საუნივერსიტეტო სივრცეში უკვე დანერგეს სპეციალური კითხვარი როგორც სტუდენტებისთვის, ისე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისთვის, რომელიც მიზნად ისახავს „მ.შ. რესურსებისა და ინფრასტრუქტურის გამოყენებასთან დაკავშირებული ხედვებისა და სხვა საჭიროებების დეტალურ კვლევას“. მნიშვნელოვანია, რომ კვლევა უკვე ჩატარდა და შედეგებიც გაანალიზდა, რამაც დაადასტურა რომ რესურსების მართვის ხარისხი გაუმჯობესდა, თუმცა ახალი მონაცემები იმის საშუალებას იძლევა, რომ ცვლილებები მიზნობრივად განხორციელდეს. თვითშეფასების ანგარიშით ცხადი ხდება რომ კვლევის შედეგები გადაცემულია ხარისხის სამსახურში შემდგომი რეაგირებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● **·აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საჭიროებები - გამოკითხვის შედეგების ანალიზი 2025;** ● **სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები 2023 და 2024;** ● **პედაგოგთა კმაყოფილების კვლევა 2024** ● **სასწავლო რესურსებით და ობიექტებით კმაყოფილების შეფასების კითხვარი;**
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.3 საინფორმაციო რესურსი
38. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილი იყოს, ყველა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ვებ - გვერდის როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვან ვერსიებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თვითშეფასების ანგარიშითა და უნივერსიტეტის ვებ. გვერდის დათვალიერებით ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში ინსტიტუციამ ინტენსიურად დაიწყო მუშაობა ვებ. გვერდის ინგლისურენოვანი ვერსიის განახლება-შევსებაზე, უნდა ითქვას, რომ სამუშაოების დიდი ნაწილი შესრულებულია, მაგალითად, დამატებულია:

- ფაკულტეტებისა და სამსახურების შესახებ ინფორმაცია;
- საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ინგლისურენოვნი კატალოგები;
- აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიები;
- Code of Ethics for Employees;
- Student Code of Ethics და Rules for the Prevention and Detection of Plagiarism and the Use of Artificial Intelligence (AI);

სამუშაო პროცესი გრძელდება და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, დასრულდება 2026 წელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://tafu.edu.ge/en/

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.

○ უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას. ○ უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. ○ უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება. ○ უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: არ შეფასებულა
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1.	მსახიობი (დრამის და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი)	ქართული	სამსახიობო ხელოვნების ბაკალავრი 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	240	აკრედიტებული	1634368 04.12.2023
2.	თეატრის რეჟისურა	ქართული	თეატრის რეჟისურის ბაკალავრი 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	240	აკრედიტებული	1634889 04.12.2023
3.	ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი	ქართული	ქორეოგრაფიის ბაკალავრი 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	240	აკრედიტებული	1635048 04.12.2023

4.	ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი (ლოტბარი/რეგენტი)	ქართული	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობაში 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	240	აკრედიტებული	1635233 04.12.2023
5.	მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა	ქართული	აუდიოვიზუალური რეჟისურის ბაკალავრი 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოე ბა	240	აკრედიტებული	1782606 15.12.2023.
6.	ტელერეჟისურა	ქართული	აუდიოვიზუალური რეჟისურის ბაკალავრი 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმო ება	240	აკრედიტებული	1782810 15.12.2023.
7.	ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიები	ქართული	აუდიოვიზუალური რეჟისურის ბაკალავრი 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმო ება	240	აკრედიტებული	1782932 15.12.2023.
8.	ხმის რეჟისურა	ქართული	აუდიოვიზუალური რეჟისურის ბაკალავრი 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმო ება	240	აკრედიტებული	1783039 15.12.2023.
9.	კინო-ტელე ოპერატორი	ქართული	საოპერატორო ხელოვნების ბაკალავრი 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმო ება	240	აკრედიტებული	1783104 15.12.2023.
10.	თეატროლოგია	ქართული	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი თეატროლოგიაში 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	240	აკრედიტებული	1735823 05.12.2023
11.	კინომცოდნეობა	ქართული	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი კინომცოდნეობაში 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	240	აკრედიტებული	1735833 05.12.2023
12.	ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია და თეორია)	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებების ბაკალავრი ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში 0213 სახვითი ხელოვნება	240	აკრედიტებული	1493295 03.11.2023
13.	მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)	ქართული	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი 0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა	240	აკრედიტებული	15403 22.12.2021
14.	კულტურული ტურიზმი	ქართული	ტურიზმის ბაკალავრი 1120	240	აკრედიტებული	148 16.11. 2018
15.	სადადგმო ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)	ქართული	ა) თეატრის რეჟისურის მაგისტრი; ბ) ხელოვნების მაგისტრი ქორეოგრაფიაში 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	120	აკრედიტებული	1635379 04.12.2023
16.	მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი	ქართული	ხელოვნების მაგისტრი სასცენო მეტყველების კულტურაში 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	120	აკრედიტებული	1635466 04.12.2023
17.	თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)	ქართული	დრამატურგიის მაგისტრი 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	120	აკრედიტებული	1639494 04.12.2023
18.	აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)	ქართული	აუდიოვიზუალური რეჟისურის მაგისტრი 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმო ება	120	აკრედიტებული	1783241 15.12.2023.
19.	კინო-ტელე ოპერატორი (თეორია და პრაქტიკა)	ქართული	საოპერატორო ხელოვნების მაგისტრი 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმო ება	120	აკრედიტებული	1783353 15.12.2023.
20.	თეატროლოგია	ქართული	თეატროლოგიის მაგისტრი 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	120	აკრედიტებული	1735829 05.12.2023

21.	კინომცოდნეობა	ქართული	კინომცოდნეობის მაგისტრი 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	120	აკრედიტებული	1735851 05.12.2023
22.	ხელოვნებათმცოდნეობა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა)	ქართული	ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მაგისტრი 0213 სახვითი ხელოვნება	120	აკრედიტებული	1493340 03.11.2023
23.	არტჟურნალისტიკა	ქართული	მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი 0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა	120	აკრედიტებული	15444 22.12.2021
24.	ეთნო-ქორეოლოგია (ქართული ქორეოგრაფიის ისტორია, თეორია და კრიტიკა)	ქართული	ქორეოლოგიის მაგისტრი 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	120	აკრედიტებული	1735890 05.12.2023
25.	კულტურული ტურიზმი	ქართული	კულტურული ტურიზმის მაგისტრი 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება	120	აკრედიტებული	794330 28.06.2022
26.	ხელოვნების და კულტურის მენეჯმენტი	ქართული	ხელოვნების მენეჯმენტის მაგისტრი 0413 მენეჯმენტი	120	აკრედიტებული	.#539104 05/03/2025
27.	თეატრის რეჟისურა (შემოქმედებითი პედაგოგიკა)	ქართული	თეატრის რეჟისურის დოქტორი 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	60	აკრედიტებული	1642034 04.12.2023
28.	აუდიოვიზუალური ხელოვნება	ქართული	აუდიოვიზუალური ხელოვნების დოქტორი 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმო ება	60	აკრედიტებული	1783519 15.12.2023.
29.	თეატროლოგია	ქართული	თეატროლოგიის დოქტორი 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	60	აკრედიტებული	1735830 05.12.2023
30.	კინომცოდნეობა	ქართული	კინომცოდნეობის დოქტორი 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	60	აკრედიტებული	1735888 05.12.2023
31.	სახელოვნებათმცოდნეო კვლევები (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში)	ქართული	ხელოვნების ისტორიის და თეორიის დოქტორი 0213 სახვითი ხელოვნება	60	აკრედიტებული	1493161 03.11.2023
32.	ქორეოლოგია (ქორეოგრაფიული ხელოვნების კვლევა)	ქართული	ქორეოლოგიის დოქტორი 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	60	აკრედიტებული	1735891 05.12.2023
33.	კულტურა მედიაში	ქართული	მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი 0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა	60	აკრედიტებული	15470 22.12.2021
34.	ხელოვნების მენეჯმენტი და კულტურის პოლიტიკა	ქართული	მენეჯმენტის დოქტორი 0413 მენეჯმენტი	60	აკრედიტებული	#532254 05.03.2025

35.	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	-	60	აკრედიტებული	758441 16.07.2021